

აფხაზეთის ომი

ბამ მოახერხა, დაერწმუნებინა არძინბა, რომ მას აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად ქართული პოლიციის 300-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შეეძვა.

1992 წლის 14 აგვისტოს, დილით, ვლადისლავ არძინბამ დაურევა გალის რაიონის გამგებელს, რუდიკ ცატავას და გააფრთხილა, – დახვედროდა ქართულ შეიარაღებულ შემადგენლობას და ოჩამჩირემდე გაეცილებინა, სადაც კოლონას უკვე ოჩამჩირის გამგებელი დახვდებოდა. მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა...

„ჩვენ ვიცოდით, რომ თბილისიდან შეიარაღებული კოლონა მოდიოდა, თუმცა, არც კი გვიფიქრია, რომ ისინი შემოვიდოდნენ (სამურზაყანოში), რადგან, თუ საქართველოს მაშინდელ სიტუაციას გავაანალიზებთ, ხელისუფლება სამეგრელოს რეგიონში სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებით უფრო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვინაიდან ამ რეგიონს ცენტრალური ხელისუფლება უკვე ვეღარ იმორჩილებდა, თანაც სწორედ სამეგრელოში იტაცებდნენ სარკინიგზო ტვირთებს. აფხაზეთში მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო, თუმცა,

კრიზისის დაძლევის შესაძლებლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო ამონურული. ამიტომ, რას ვიფიქრებდით, თუ პრობლემის მოსავალი რებლად ომი დაიწყებოდა...

ცოტა ხანში სამეგრელოში გაჩნდნენ გამსახურდიას მხარდამჭერთა მთელი საჯარისო ფორმირებები, ზუგდიდში უკვე იყო ლოთი ქობალია, თავისი ე.ნ. გვარდიოთ, გალის რაიონის სოფელ რეჩხში დაბანაკებული იყო ე.ნ. გალის ბატალიონი. ვიფიქრობდით, რომ თბილისიდან მომავალ კოლონას სამეგრელოში წინააღმდეგობა შეხვდებოდა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, კოლონა ზუგდიდთან გააჩერეს და მხოლოდ მოღაპარაკების შემდეგ დართეს ქალაქის გავლის ნება. კოლონის მეთაურებმა „ზვიადისტები“ დაარწმუნეს, რომ ისინი მათ „ქუის სასწავლებლად“ კი არ მოდიოდნენ,



რუდიკ ცატავა და შევარდნაძე გალის სამურზაყანოს ბატალიონის ტრაგედიაზე ლაპარაკობენ. წინაღამეს ამ ბატალიონის რამდენიმე მებრძოლი ერთად ამონტყდა

არამედ უფრო დიდი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი – აფხაზეთი უნდა აეღოთ. შემდეგ ერთი

საინტერესო ფაქტი მოხდა: სამხედრო კოლონამ ენგურის ხიდი კი არ გაიარა, სოფელ თაგილონთან ფონით გადმოვიდა გალის რაიონის ტერიტორიაზე. გალში მოსახლეობა ქართველებს ზემით ხვდებოდა. მახსოვს, კოლონიდან ხალხს უყვიროდნენ, – სოხუმში მივდივართო. ქართული შეიარაღებული ნანილები გალში ისე შემოვიდნენ, რომ ენგურზე მდგარმა აფხაზებმა ვერაფერი გაიგეს. კოლონამ ქალაქის ცენტრალური ქუჩა გაიარა და გზა ოჩამჩირისკენ განაგრძო, გამგების შენობაში არც შემოსულან. ყველა გაკვირვებული ვიყავით, ორიოდესათის შემდეგ გავიგეთ, რომ სოფელ ოურეისთან (ოჩამჩირის რაიონი) ქართულ შეიარაღებულ ნანილებს აფხაზებმა ცეცხლი გაუხსნეს. დაახლოებით ერთ საათში გალში ქართული კოლონის მეთაურებმა 30 აფხაზი სამხედრო მოიყვანეს და გალის პოლიციის უფროსს ჩააბარეს. ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (დევი



ჭანკოტაძემ) პოლიციის უფროსს უთხრა, – ეს ხალხი სამხედრო ტყვეებია. ღმერთი არ გაგინურეთ და არ გაათავისუფლოთ, თორემ მთელ სამსახურს სამხედრო ტრიბუნალი არ აგცდებათ. როდესაც მან სამხედრო ტყვეები ახსენა, ცხადი გახდა, რომ საომარი მოქმედებები იყო

დაწყებული. წასვლის ნინ დევი ჭანკოტაძემ ნაიტრაბახა, – საღამოს არძინპას ტანკით ავუვარდებით სახლშიო. სიტუაცია ძალიან გაურკეველი იყო“.

გალის რაიონის სამართალდამცავი სამსახურის ყოფილი მოხელე

14 აგვისტოს, საღამოს, აფხაზმა სამხედრო ტყვეებმა გალის პოლიციიდან გაქცევა მოახერხეს – ფანჯრიდან გადაძვრნენ. პოლიცია შემფოთდა. გაქცეულთა ხელახალი დაკავება პოლიციელებმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს (ისინი შემდეგ თბილისში ჩამოიყვანეს და მოგვიანებით ქართველ ტყვეებზე გაცვალეს).

ქართული შეიარაღებული ნაწილები სოხუ-



...და ხვალ იყო ომი

მისკენ დაიძრნენ. გულრიფშის რაიონში მათ კვლავ გაუხსნეს ცეცხლი. დაიღუპა რამდენიმე ქართველი პოლიციელი. ბოლოს, აფხაზებმა ტამიშის ხიდი ააფეთქეს და უკან, სოხუმისკენ დაიხიეს. ქართულმა კოლონამ სოხუმში შესვლა გადაიფიქრა და ე.წ. წითელ ხიდთან გაჩერდა. იმ დროისთვის სოხუმს იცავდა 300-კაციანი აფხა-